



MOORE

## საკანონმდებლო სიახლეები

თებერვალი - მარტი, 2021

### შინაარსი

#### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში

№996

კვერდი 1

#### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში

№999

კვერდი 2

#### ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში

№415

კვერდი 2

#### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში

№994

კვერდი 2



სალომე ოდიშარია  
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040  
E: salome.odisharia@moore.ge



თეონა აბდუშელიშვილი  
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006  
E: theona.abdushelishvili@moore.ge



MOORE

T: +995 (322) 000 123  
E: info@moore.ge

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. №6,  
მწვანე შენობა, 0102, თბილისი,  
საქართველო

### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2021 წლის 1-ლი თებერვლიდან შესული ცვლილებებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 107-ე მუხლი, რომელიც ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების შევსებას შეეხება;
- 2021 წლის 16 თებერვალს შესული ცვლილებებით აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლს დამატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:  
„4. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის/მოიჯარის ან/და მძღოლის მიმართვის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გასცეს ინფორმაცია აღნიშნულ პირთა სატრანსპორტო საშუალებით საქონლის ტრანსპორტირების მიზნით გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში მითითებული გამყიდველის/გამგზავნის ან/და მყიდველის/მიმღების დასახელების/სახელის და გვარის, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრის და ტრანსპორტირების თარიღის შესახებ.“
- 2021 წლის 19 მარტს ასამოქმედებელი ცვლილების თანახმად, აღნიშნული ინსტრუქციის მე-3 მუხლის 12 პუნქტის შემდეგ დამატა შემდეგი შინაარსის 1 პრიმა 1<sup>3</sup> პუნქტი:  
„1<sup>3</sup>. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მენარმისა) საგადასახადო აღრიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის ნაცვლად, შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთვის ვიდეოზარით მიმართვის საფუძველზე. საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე ფიზიკური პირის ვიდეოზარით მიმართვა ასევე წარმოადგენს ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის მოთხოვნას. ცალკეულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეოზარით მიმართვის ნაცვლად, პირს მოსთხოვოს №1-01 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.“
- 2021 წლის 5 მარტს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა მე-3 კარში, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადს შეეხება, კერძოდ, ცვლილებები შევიდა 48 პრიმა 2 მუხლში, 52-ე და 112-ე მუხლებში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ცვლილებების მოქმედება ვრცელდება 2021 წლის 1-ლი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. აღნიშნული ცვლილებებით, თუ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების განევამდე და ანაზღაურების მომენტი თანხის მიმღები პირი არ არის რეგისტრირებული დღ-ის გადამხდელად, დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე მიღებულ ანაზღაურებასთან მიმართებაში, დღ-ით დაბეგვრის დროს წარმოადგენს დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ საქონლის მიწოდების/მომსახურების განვების მომენტი.

ასევე, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა საეკონომიკური არ არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დაზუსტდა ბარტერულ ოპერაციებთან დაკავშირებული საკითხები. ამავე ცვლილებებით, თუ უძრავი ნივთის შემქმნე საკუთრების უფლება მშენებარე ობიექტზე მარეგისტრირებელ ორგანოში დარეგისტრირდა 2021 წლამდე, ხოლო ამ ნივთზე უძრავი ნივთის მიწოდების მიერ 2021 წელს ან შემდგომ პერიოდში დასრულდა სამშენებლო, სამონტაჟო ან/და სარემონტო მომსახურება, აღნიშნული მომსახურება განიხილება უძრავი ნივთის მიწოდების ნაწილად, ხოლო ამ ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში, თუ არ დადგა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უძრავი ნივთის მიწოდება დაბეგრილია დღგ-ით 2021 წლამდე პერიოდში, მისი ექსპლუატაციაში მიღება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გარემოებას და ექვემდებარება კორექტირებას შესაბამისი უძრავი ნივთის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში.

### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №999

17 თებერვლას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №999, რომელიც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილება:

- შეიცვალა ფიზიკური პირის მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მიღების ან/და დაბეგვრის სხვა რეჟიმიდან მიკრობიზნესის დაბეგვრის რეჟიმზე გადასვლის შემთხვევაში, მის მიერ მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი. კერძოდ, თუ ცვლილებამდე ხსენებული შემოსავალი ექვემდებარებოდა მიკრო ბიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას, ცვლილების თანახმად, მიღებული შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას იმ რეჟიმით ან/და წესით, რომლითაც იბეგვროდა ფიზიკური პირი სტატუსის მინიჭებამდე საქმიანობის განხორციელებისას, ხოლო მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებიდან მიღებული შემოსავლები ექვემდებარება დაბეგვრას მიკრობიზნესისთვის დადგენილი სპეციალური რეჟიმით.

### ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში №415

11 მარტს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში №415, რომელიც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილება:


- დადგენილებით დამტკიცებული დანართ №2-ის („აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება ფიზიკური პირისათვის მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭება“) მე-4 პუნქტიდან ამოღებული იქნა სიტყვა „სოფლის ექიმი“ და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. სამედიცინო (გარდა სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სოფლის ექიმისა და ექთნის/ფერშლის მიერ გაწეული სამედიცინო საქმიანობისა), არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.“

### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №994

25 თებერვლას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №99, რომელიც მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდებიდან უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესს შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილება:

- 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 3 პრიმა 1 პუნქტი: ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის ან/და ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს რაოდენობრივი/თანხობრივი ზღვარი, რომლის ფარგლებში, დანართ №24-ში მითითებული სმფ-ები ფაქტობრივად არსებულის შესაბამისად ჩაითვლება.



## ჩვენს შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის “Moore Global Network Limited“- ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას, რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.



**>114**  
ქვეყანაში



**>260**  
ჩვენს




**>579**  
ოფისი



**>30,809**  
თანამშრომელი

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

## ჩვენი სერვისები



[www.moore-georgia.ge](http://www.moore-georgia.ge)